

საშუალებად ეროვნულ საკითხის გადასაწყვეტად.

საერთაშორისო მუშათა ასოციაციის, ანუ, როგორც უწოდებენ ინტერნაციონალის, — რომელიც ინტერნაციონალურ საქმეებში დიდი კომპეტენციური ორგანიზაცია იყო, — მთელი საკაცობრიო ძირითადი პრინციპები სინტეზის ნაციონალურ და კოსმოპოლიტურ შეხედულებებისა; ინტერნაციონალის თვალსაზრისით მუშათა მოძრაობა ყველგან და ყოველთვის თხოვლობს თავისუფალ და შეუზღუდველ ნაციონალურ განვითარებას, თვით სულ პაწია ეროვნებასაც კი ანიჭებს თავისუფალ და საკუთარ არსებობას.

მარა ინტერნაციონალის მიერ შემუშავებული ძირითადი საფუძვლიანი დებულებები მარქსისთვისაა მოითხოვს დროს და პირობების შესაფერ დამოკიდებულებას.

სრულიად სამართლიანია კარლ კაუტსის საფუძვლიანი შენიშვნა, რომელიც ხაზს გასმულათ აღნიშნავს, რომ მაშინ (ინტერნაციონალის დროს) მარქსიზმი ჯერ არ იყო, არ არსებობდა როგორც შუალედური მიმართულება, რომელიც დამყარებული ანუ დაფუძნებული ყოფილიყოს მარქსიზმის მეოთხედზე, მის თვალსაზრისით, მარქსიზმი, როგორც პოლიტიკური ფაქტორი, ყოველ შემთხვევაში თანამედროვე მოვლენაა, რომელიც არ შეიძლება ინტერნაციონალის ეპოქის მივსაყუთნოთ.

კაპიტალისტური კულტურის აყვავებამ, კაპიტალისტური წარმოების განვითარებამ, რომლის ძლიერი მსვლელობა მხოლოდ მაცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება, საერთაშორისო პროლეტარიატს სხვა მრავალ კითხვებთან ერთად ნაციონალური საკითხიც წამოუყენა. მრავალმა ნაციონალურმა მოძრაობამ იჩინა თავი, რომელიც ასე თუ ისე გარკვეულ პასუსს მოითხოვდა.

და ამისათვის სოციალდემოკრატების ცნობილი თეორეტიკოსები და თანამედროვე სოციალისტური მოძრაობის ხელმძღვანელები იძულებულნი გახდნენ დაწვრილებით შეხებოდნენ თანამედროვე ნაციონალურ ანტიგაონიზმს, ნაციონალურ პრობლემას და დროს შესაფერად პასუხს მიეცათ.

სახელმწიფო ღუმს.

თავმჯდომარეობს გუბერნი. კითხულობენ სხვადასხვა კანონ-პროექტებს. სხვათა შორის, მინისტრთა თავმჯდომარისა ფინლიანდის შესახებ საერთო სახელმწიფო ხასიათის კანონებისა და დადგენილებათა გამოცემის შესახებ. წინადადება იძლევა კანონ-პროექტის განსახილველად არჩეულ იქნას კომისია. წაკითხულ იქნა დუმის 30 დეპუტატის განცხადება ხსენებულ კომისიის არჩევის შესახებ, რომელიც უნდა შედგეს 21 კაცისაგან. ჩაეწერა 15 ორატორი. პირველად ლაპარაკობს მილიუკოვი. ის წინააღმდეგა კანონ-პროექტის კომისიაში გადაცემის. მისი აზრით, კანონ-პროექტი შეიცავს სრულ განადგურებას უფლებებზე წყობილების ფინლიანდის სახელმწიფოსი — ფინლიანდის სამთავროსი (ხმები: „სახელმწიფო არ გახლავთ, წაიღეთ თქვენი სიტყვა უკან“, ხმაურობა). თქვენ, სულ ყველა უკმაყოფილონი იყავით ბონისის ანექსიით, ეს „პერეგოროტი“ კი არაობას წარმოადგენს იმისთან შედარებით, რომელსაც სწადიან ეხლა ფინლიანდის საქმეების შესახებ. არსებობდა კანონ-პროექტი არ მიიღება, ვინაიდან რუსეთის დაწესებულებათა გავლენა იმდენად ცალმხრივი და ფართოა, რომ უფლებრივი სფერა ისპობა. (თავმჯდომარე სთხოვს ორატორს ილაპარაკოს მხოლოდ კანონ-პროექტის მსვლელობის შესახებ). მილიუკოვი: მე, რასაკვირველია, ვეთანხმები თავმჯდომარეს და ვილაპარაკებ კანონ-პროექტის წინააღმდეგ ფორმალური დებულების დამხმელით. კანონ-პროექტი ჩემ თანამაზრებთან ერთად, მიმართა უფლებით. მთავრობა მოითხოვს ჩვენგან მოწინააღმდეგე მივიღოთ მის უკანონო აქტის შემუშავებაში, დუმის ეძლევა უფლება, რომელიც მას არ აქვს (ხმაურობა მარჯვენა). წინადადება იძლევიან გაატარონ ცხოვრებაში მტრთა შემადარი შეხედულება, თითქო რუსეთის აღ-

მინისტრატული და სამოსამართლო დაწესებულებანი ფინლიანდის ამავე დაწესებულებებზე უმაღლესი საფეხური იყოს. წესების, რომელთა შემოღების წინადადებას გვაძლევს, თვით კანონ-პროექტი სწვევს: მას სურს გარტრებულ იქნას ის იმავე წესით, რომელთაც განზრახვა აქვს მოაწესრიგოს დაამყაროს; ის ყურადღებას არ აქცევს იმ გარემოებას, რომ ჩვენ საერთო საიმიერო საქანონ-მდებელი წესი კიდევ არა გვაქვს (... დამახინჯებულია). ფინლიანდის კანონების უმთავრესი პუნქტების მიხედვით კი, ფინლიანდის ძირითადი კანონების უფლებათა დარღვევის უფლება რუსეთის დაწესებულებებს არ აქვთ (ხმაურობა, მარცხით). 1862 წ. სეიმის წესდების მე-83 მუხლი ამბობს, რომ მისი შეცვლა, თუ გადასავადიერება, არ შეიძლება, თუ მონარქი და საერთო დაწესებულებათა მოხელენი საერთოთ არ გადასწყვეტენ. ეს დანდელი წესების მე-80 მუხლი, რომელიც დამტკიცებულია ხელმწიფის მიერ 1906 წ., იგივე დადგენილებაა, — განმეორდება მშ მუხლისა; სახელმძღვანელო, სეიმის წესდება დარღვეულათ ჩაითვლება ძირითადი კანონების მიხედვით, რომელიც მანამდე მოქმედებს, სანამ ის არ შეცვლილა ან და არ გაუქმებულა ხელმწიფისა და სეიმის დადგენილებით. შემდეგ ორატორი ამბობს, რომ 1909 წელს, მარტში და აპრილში ახალმა თათბირმა საუჭაოებოთ დანიშნა ეს კითხვა არ გადაწყვიტა, რადგან ფიქრობდა, რომ ეს არა კანონიერი ნაბიჯი გამოიწვევდა მოძრაობას. არეულთას. ამიტომ ეს კითხვა გადადებულ იქნა. არის დრო, როცა მონარქის სიტყვა ნამდვილი წყარო არის უფლებებისა, მაგრამ ის რომ მართლაც ასეთი იქნას ამისათვის საჭიროა რომ ეს სიტყვა უნდა ავალდებლოს არა მარტო იმათ, ვისაც ამ სიტყვას იძლევენ არამედ — მასაც, ვინც ამ სიტყვას იძლევა (ხმაურობა მარჯვენა). თავმჯდ. ზარს რეკავს) ხელმწიფე არის უფლებრივი სახელმწიფოს იდეის მატარებელი (ხმაურობა მარჯვენა) და აი, თქვენ მონარქისტებს გძლევთ შემთხვევა გამოხვიდეთ აქ და თქვით, რომ მონარქის სიტყვა თანამართ არ შეიძლება. ამ სიტყვის დარღვევისათვის პასუხის მტებელი არიან რომელსაც მონარქი შეცდომაში შეყავს. ბატონებო! სტაროფინების პეტრია მიმართავს მთელი რუსეთის ხალხის სინდისს, მთელი ფინლიანდის ერა ყურს უგდებს თუ რას იტყვის თქვენი სინდისი. ის გვიკითხება თქვენ: მზარ ხართ თუ არა იკისროთ პასუხისმგებლობა ისტორიის სამსჯავროს წინაშე მთელი ერის დაღუპვისათვის (ხმა მარჯვნიდან: პროვოკატორი). გახსოვდეთ, რომ დღესაც მოწვევას სისხლი იმ კრილომიდან, რომელიც მიეკითხა თავის თავს პოლონეთის უფლებების მოსპობით (ხმაურობა მარჯვენა) კადეტების ფრაქციამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: დაცვა სახელმწიფოს პატივი (სიცილი მარჯვ.) სინდისი (ხმა მარჯვ.) თქვენ გპყიდეთ ის, ვებორგეში დასტოვებთ) ერის, და წინადადათ აასრულოს მონარქის სიტყვა. ჩვენს ფრაქციას არ შეუძლია დათანხმდეს სახელმწიფოს მიერ პატარა ერის ავტონომიის დარღვევას, იმ ერის, რომელიც განუყოფელი ნაწილი შეადგენს მთელი რუსეთის სახელმწიფოსას, ამიტომ ჩვენ ფრაქცია უარყოფს კანონ პროექტს და კომისიის არჩევას (ხმაურობა მარჯვენა; სტვენა. ხანგრძლივი ტაშისცემა მარცხით).

გრაფი ბენიგსენს მოჰყავს ძირითადი კანონიდან მოყოლებული და მით ამტკიცებს, რომ საერთო საიმიერო კანონმდებლობაში დუმის და საბჭოს უფლება სრულიად არ არის უარყოფილი პირობით, დუმას ასეთი უფლება ეძლევა ორატორი აღნიშნავს, რომ არავითარი იურიდიული საბუთი არ არის, რომლის ძალითაც დუმას არ შეეძლოს ამ კანონ-პროექტის განხილვა. იმეორებს-რა მილიუკოვის მოწოდებას მეფის სიტყვის დაცვის შესახებ, ორატორი აცხადებს: დიახ, ეს ოქრო სიტყვაა. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ის შეურყეველია, მხოლოდ იმის ახსნაში განცხადებით თუ როგორი ხასიათის ავტონომია ქონდა მინიჭებული ფინლიანდისა; ჩვენი აზრით მინაური ავტონომია, მილიუკოვი კი ამბობს — სახელმწიფოს ავტონომია. როდესაც კანონპროექტი არსებობდა შეგებებით, მაშინ საბჭოსის საბუთების მოვლევით იმის შესახებ, რომ ფინლიანდის სა-

სახელმწიფოებრივი ავტონომია არ ქონია მინიჭებული, ამ ყმათ ჩვენ ვასარულეთ მონარქის ნებას, როდესაც საერთო საიმიერო კანონმდებლობის დაწესების შესახებ ვლაპარაკობთ. მომავალი გვიჩვენებს, ვინ იყო მართალი: ჩვენ თუ მილიუკოვი. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ დუმა არ აყვება მილიუკოვის უაზრო მოწოდებას, რომელიც კანონ-პროექტის უარყოფას მოითხოვს. ჩვენ ხომ ვებორგის-მოწოდების საწერათ არ შევკრებილავართ (ხანგრძლივი ტაშისცემა ცენტრში და მარჯვენა). გეგმეკორი აცხადებს ს. დემოკრატ. ფრაქციის დასაბუთებულ განცხადებას. სოც. დემოკრატულ ფრაქციას დუმაში შეტანილი კანონ-პროექტი პირველ პრინციპიალურ ნაბიჯათ მიაჩნია, რომელიც განადგურებულ ლახტს სცემს ფინლიანდის კულტურას. იმ მიმე ისტორიულ მომენტში, რომელიც საც ფინლიანდია განიცდის, ჩვენ ამ ტრიბუნლიან მხრვალე ძმურ საღამს ვუძღვნი ფინლიანდის ხალხს. რუსეთის დემოკრატია არა თუ არ შეზღუდავს ფინლიანდის უფლებებს და თავის უფლებას, არამედ პირობით, თავადღებულათ დაიცავს მათ. როდესაც თქვენ ისტორიულ ძალდატანებას ახდენთ პატარა ხალხზე, ამით თქვენ გაუსწორებელ ზარალს აყენებთ რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ესცნობთ რა შემოტანილ კანონ-პროექტს ფინლიანდის კონსტიტუციის აშკარა დარღვევას, ჩვენ სახელმწიფოებრივი გადატრიალების აქტის რომელიც კომისიაში გადაცემის წინააღმდეგ მივსკვებ ხმას, რადგან აქ აღდგოი არა აქვს არავითარ განხილვას. ჩვენს წინაშე შეუდგენილი, არსებობდა, გლემენტარული ძალმოძრებობა, ძალმოძრებობის წინააღმდეგ-კი ყოველთვის პროტესტი უნდა განაცხადოთ (მარცხით ტაშის ცემა).

ტენიშვიე აცხადებს, რომ მილიუკოვის წინადადება ეწინააღმდეგება ნაკაზს კანონს, და პირდაპირი მოწოდებაა მისი უდი უფლებების ნათლათ გამოთქმული სიტყვის წინააღმდეგ. კრუტენსკის შეხედულებით ნაკაზი კი არა, არამედ — მრავლობა სახმობლოს წინაშე ავლებს დეპუტატებს, რომ განიხილონ კანონ-პროექტი, რომელსაც შეუძლია ბოლო მოუდოს რუსეთ-ფინლიანდის შორის გამწვავებულ დამოკიდებულებას. არსებული დამოკიდებულება მხოლოდ კადეტებისათვის და სოციალდემოკრატებისათვის არის ხელსაყრელი, რომლებიც ფინლიანდიელებს ძმურ საღამს უგზავნიან იმისთვის, რომ შემდეგ მათგანაც სამაგიერო დახმარება მიიღონ.

ნეკლიუდოვი საქეყნით პროტესტს აცხადებს მილიუკოვის სიტყვების წინააღმდეგ, ვითომ ფინლიანდია ცალკე სახელმწიფო იყოს.

მარკო 2 აზრით დუმას არ შეუძლია განუხილველათ დასტოვოს ეს კანონ-პროექტი. თუ მილიუკოვის წინადადება მიღებულ იქნება, ერთადერთი საშუალება, რომელიც მთავრობას დარჩება, იქნება დუმის გარეკა. კადეტებს კარგა ხანია, ასეთი დრო დაუდგათ: ხალხისადმი მიმართვა მით ხომ მიანც სასურველ შედეგებს არ აძლევს. კადეტების ცდამ, რომ მე-მარჯვენელების გალიზინებით დუმის დათხოვა გამოეყვით, უნაყოფოთ ჩაიარა. თუ ისტორიული საკითხის გადაწყვეტის წინ დუმის გარეკა არ გინდათ, თუ არ გსურთ, რომ ეს საკითხი დუმის გარეშე იყოს გადაწყვეტილი, არ შეუშინდეთ მილიუკოვის მოწოდებას პატონებისა და სინდისისაგან, გადაეციოთ კანონ-პროექტი კომისიას. მილიუკოვი-კი საშუალება მიეციოთ მოლაპატრის როლში ეწვევონ ქვეყანას.

თავმჯდომარე უკანასკნელი სიტყვები შემუშავებელია. მოგიწოდებთ წესიერებისაგან.

პეტროვი პროტესტს აცხადებს ასეთი კანონ-პროექტის დუმაში შემოტანის შესახებ. ის აცხადებს, რომ მთავრობის მიერ ამ კანონ-პროექტის შემოტანის პროვოკაციათი ხასიათი აქვს. ლერხეს მოჰყავს ციტატები სტენოგრაშიდან და ამბობს, რომ კადეტები ხოლმე მინის შესახებ კანონ-პროექტის შესახებაც ასეთი აზრისა იყვნ და კომისიაში გადაუცემლათ მის უარყოფას მოითხოვდნენ. კამათი შესწყდა. პირადი სიტყვისთვის სიტყვა ითხოვა მილიუკოვმა და პაკლაკოვმა. პოკოვსკი 2 (ს. დ.) აფ-

რთხილებს დუმას მონაწილეობას ნუ მიიღებს სახელმწიფოს „პერეგოროტი“. თავმჯდომარე შენიშნავს, რომ ის კენჭის ყრის შესახებ არ ლაპარაკობს. პოკოვსკი 2 სიტყვას ათავებს: დუმა ვერ დაფარავს ნაკაზის ფურცელით მისგან ჩადენილ უკანონობას. რუსეთის ხალხი, რომლის სახელით მე ვლაპარაკობ, ფინლიანდიელების მტერი არ არის და ხელს იბანს იმ სისხლისაგან, რომელიც თქვენ გსურთ დადგაროთ იქ. მატულდოვი აცხადებს, რომ მუსსოლმანები კანონ-პროექტის კომისიაში გადაცემის წინააღმდეგ მივსკვებ ხმას. კენჭის ყრით, ხმის უმეტესობით ოპოზიციის წინააღმდეგ, კანონ-პროექტი განსაკუთრებულ კომისიას გადაეცა. კომისია 21 კაცისაგან შედგება. კრება შეწყდა.

კრების განახლების შემდეგ თავმჯდომარეობს თავ. გულკონსკი. გადასახლების ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ ლაპარაკობს ეფ. მიტროვანევი. გადააროვი ამბობს, რომ მთავრობა გადასახლების დროს ართმევს ყირღიზებს მათთვის საჭირო მიწებს და მით ანადგურებს მათ. კავკასიაში გადასახლების საქმეში, მთავრობას მხოლოდ პოლიტიკური მიზანი ამოქმედებს და კავკასიის მცხოვრებთ დაუმსახურებელი უნდობლობით უყურებს (ტაში მარცხით). ძიუბინსკი შთელი რეგიონიკალური ცნობებით ამტკიცებს, რომ გადასახლება მიზნის შეუფერებლათ ხდება. სიმონოვს განია, რომ კერძო მიწის შესაკუთრება გამრავლება ციბირში ხელს შეუწყობს სასურველი კულტურის და მრეწველობის ხარჯთ-აღრიცხვის ზოგიერთ მუხლების შესახებ ლაპარაკობს მლ. ბელიაევი, ტიომოჟინი და ძიუბინსკი. კომისიის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულ იქნა. საღამოს სხდომაზე თავმჯდომარეობს გუბერნი. განაგრძობენ კამათს სურთულოვის შეკითხვის შესახებ. მომხსენებელი გოლოვოლოვი ამტკიცებს, რომ შეკითხვა კომისიის მიერ კანონიერათ არის ცნობილი. ევ. ევლოვი ხაზგასმით მოითხოვს, რომ დუმა არ ჩაერიოს ენისკაპოვების და მღვდლების დამოკიდებულებაში. შუბინსკი მხარს უჭერს და ასაბუთებს ოქტომბრის ტუბის მიერ შეტანილ ფორმულას. გრ. უვაროვი ამბობს, რომ მღვ. მატევეტსკის განხრევის დროს უზოვებს კონსისტორიის საიდუმლო მიწერილობა ამის გასაგებათ, თუ რამდენჯერ მიიღო ზიარება დღე. კამენსკიმ და რამდენჯერ იყო ეკლესიაში (სიცილი მარცხით. ტაშის ცემა ცენტრში). ორატორთა სია დაიხურა. კენჭის ყრით ხმის უმეტესობით რამდენიმე მემარჯვენის წინააღმდეგ მიიღეს ოქტომბრის ტუბის ფორმულა.

შემდეგ სხდომა დანიშნულია პარასკევს.

დაპყვები

(პეტრობურაის დეპუტატთა საგერტოსაგან) 18 მარტი.

საზღვარ ბარბი
ბერლინი. ვალვის სააგენტომ მიიღო ოფიციალური, მთავრობისაგან შემოწმებული დეპეშა, მიუღვამის მახლობლათ რიანის გზაზე „კატასტროფის“ შესახებ. ნაშუადღევს ორ საათზე სახალხო მატარებელი სამხედრო მატარებელს დაეჯახა. 50 კაცია მძიმე დაჭრილი და დახოცილი.

ლონდონი. ასკრიტმა წინადადება მიცა სათემო პალატას თავს იღვას კომისიის მოვალეობა და განიხილოს რეზოლიუცია, რომელიც ლორდთა პალატის არსებობას შეეხება. ასკრიტმა განაცხადა, რომ მეორე პალატის არსებობის საჭიროება არის, მხოლოდ ლორდთა პალატა მემვიდროებით უფლებახე კი არ უნდა იყოს დაფუძნებული, არამედ — დემოკრატულ პრინციპებზე. მთავრობის პოლიტიკის გასატარებლათ აუცილებლათ საჭიროა ლორდთა პალატის საშუალება არ ქონდეს კონსტიტუციის საწინააღმდეგე ნაბიჯი გადასდგეს ფინანსიურ საკითხების ფარგალში, რედამუნდა და ბერონსმა განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერენ რეზოლიუციას.

მაულეგამი. საღამოზე ცნობა მოვიდა, რომ მატარებლების დატყვების დროს მოკვდა 19 ჯარისკაცი. დაიჭრა 39 ჯარისკაცი და ორი კონდუქტორი სამხედრო მატარებლის, მოხმადარ უბედურაობის მიზეზათ ასახლებდნ სახალხო მატარებლის მემანქანეს. „კატასტროფის“ აღდგალზე მივიდა სამხედრო მინისტრი.

სპარსეთი
თიერანი. გარდაიკვალა ასივულ-დოღუ-ლე, რომელიც ხორმისაა გრეჯულ-განბერნატორათ იყო. დანიშნული რეგულიერით თავი მოიკლდა ნაჯო-სამილო-ადამ, ფულის მოპყრელი სახალხის ყოფილმა მოჯირადარმა, რომელიც რუსეთის მიხისის ბესტში იჯდა. გერმანიის ელჩმა წარუდგინა გარეშე საქმეთა მინისტრს გერმანიის ბანკის აგენტო რტე.

თავრანი. გადაწყვეტილია შინაური სესხის დასფარავათ გადაახდევროთ ათ ვაჰარს 50,000 თუმანი (თითოს), 15 ვაჰარს ხუთ-ხუთი ათასი თუმანი. გადაწყვეტილია აგრეთვე ფული გადაახდევრონ წყრილ ვაჰრებს და თავრიხის მცხოვრებლებს. ვაჰრები თანამა არიან ეს ფული გადაახდონ მხოლოდ იმ პირობით, რომ გადახდილი ფული აღდგებიჯანის საქირების მოხმარდება. სპარსეთის ჯარები ამ დღებში არდებლილისკენ გაემგზავრებიან.

რუსეთი
პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ ნება დართო ფინანსთა მინისტრს აუწიოს რიანის გზებთა გაგზავნელ ნავთზე ტარიფი, მაქოდან — ბათუმამდე.
მოსკოვი. საღვურ ნიგუტზე, ვინდავის რიანის გზის შტოზე, აღმოჩინეს ცუდი თვისების ხიზალალის დამამხდევალი ფაბრიკა, რომელიც გიპოუსს ეკუთვნის. ამ ფაბრიკას ხიზალალის ყიდდენ მოსკოვის გასტრონომიულ მაღაზიებში.
ვიატკა. გუბერნატორის თავმჯდომარეობა შედგა კომისია, რომელმაც ხოლუნციკის ქარხნების მუშებს ხვედრი ფული უნდა უზღოს. კომისიის წევრები აღილობრივ ცნობების შესაკრებათ ჩავიდენ.

პეტერბურგი. გაერთიანებულ ახნაურთა საღამოს სხდომაზე კორეომ მოხსენება წიკითხა ფინლიანდის საკითხის შესახებ. დასასრულ კრებამ რეზოლიუცია მიიღო, რომელიც მტკიცე იმედს გამოსთქვამს, რომ ახლო მომავალში უმაღლესი მთავრობის მიერ წარმოდგენილ იქნება კანონ-პროექტი, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს ლარსებასა და სარგებლობას შეეფერება, რომლის განუყოფელ ნაწილს შეადგენს ფინლიანდია. ეს კანონ-პროექტი ბოლოს მოუღებს ფინლიანდის ცდას დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესახებ. სიგნმა აგრეთვე სურვილი გამოსთქვა იმის შესახებ, რომ ვებორგის გუბერნიის ისევ რუსეთის დაუბრუნდეს.

ახალი ამბები

პავაის აღმდგენი სასამართლო. ოთხშაბათს, 17 მარტს, შესდგა „პრესის სინდიკატის“ გამსამართლებელ პატივის აღმდგენელ სასამართლოს წევრთა კრება, რომელმაც მთელი სხდომა „პრესის სინდიკატის“ შესახებ სხვა და სხვა მასალების განხილვისა მიანდობა: სასამართლოს ლ. ყიფინისაგან წერილობითი ცნობები მიუღია, რომელშიაც ის სხვათა შორის აღნიშნავს თავის დამოკიდებულებას პ. გელეიშვილთან და პ. გოთუხსთან.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრა კრება შესდგა ოთხშაბათს, 17 მარტს კრებამ მოისმინა საზოგადოების მდივნის ეიარაოვის მოხსენება, რომელშიც აღნიშნული იყო მომავალ შემოღომისათვის მცენარეთა ნაყოფების გამოფენის საჭიროება. საზოგადოებამ მოწონს მოხსენება და დაადგინა გადაიღოს ამ საქმისათვის 3000 აირჩიეს ბიურა 5 კაცისაგან შედგარს, რომელიც დანიშნავს დროს და მოკრებს მასალას სტეტიულ გამოფენისათვის. მოხსენებლის ისიც გამოიყენა, რომ საზოგადოებას სხვადასხვა პირებზე 20,000 მ. ლირბული მასალა ნისიით ქონებია გაცემული. დაადგინეს, მორიგებითი საშუალებით გადაახდევრონ ფული კრედტორებს.

შანტაყის ტყვის თავგახულობა. როგორც მკითხველებს მოეხსენება ამას წინათ თფილისში მოვატრე აღ. მილოვის თავს დაენებენ ვილაკები და დასტყეს ამ დადენიმე დღის წინაშე მილოვის მთქვა ზიაშივე ჯოჯობეთის მანქანა ააფეთქეს. ეხლა ხსენებული მილოვისათვის, როგორც დამოგვეცეს, შანტაყის ტყვს მუქარის წერილი გავგზავნიათ, რომლითაც, მოაგანებენ რა მას, როგორც თავდასხმადქარს, ისე, მაღაზიაში მანქანის აფეთქებას, — მიითხოვენ ფულს. წინააღმდეგ შემიხვევა ში სიკვდილათ და კიდევ აფეთ-

ქებით ემუქრებიან. წერილის ხელს აწერს თვითონის ანარქისტ-კომუნისტთა ორგანიზაცია, პური და თავისუფლება საქალაქო ზომები იქნას მიღებული მანტაფის სტრუქტურის ასეთი თავდასხმის წინადადება, თვითონ, ვინ იცის, რამდენი უდანაშაულო პირი დაიხრება მათი თავდასხმით.

➔ **ბაქოს ქალაქის გამგეობა.** კავკასიის ნამეტანიის თანამდებობა და მტკიცე ბაქოს ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა ქალაქის გამგეობაში მე-5 წევრის მოწვევის შესახებ.

➔ **აბანო და საცურაო სკოლა გეგმაზე.** გადაწყვეტილია დაარსონ აბანო და საცურაო სასწავლებელი თფილისში, გეგმაზე. ეს აბანო და სკოლა წყალში და მზერაზე და მზერაზე საზოგადოებას უნდა აეგო, მაგრამ მატერიალურ საშუალებებთან უქონლობის გამო, ეს საქმე ხსენებულ საზოგადოებაში ქალაქის გადასცა. შენობის ასახვებით მასალით და მზერა ქალაქში ბორჯომის ტყეების სამმართველოს თხოვა, მაგრამ თხოვნაზე უარი მიიღო.

➔ **სახელმწიფო ღუმის წვერი გოლოვინი.** როგორც განხილეს იუსტიციის, სახელმწიფო ღუმის წვერის გოლოვინს ბაქოში მოიწვევენ ახლათ ასახვებ წყლის საყვანის საქმეთა მწარმოებლათ და უფროსათ.

➔ **ქართული ეპისკოპოსები.** ვახუშტის იუსტიციის, რომ გორის ეპისკოპოსათ დანიშნულია ალავერდის ეპისკოპოსი დავითი, ხოლო ალავერდის ეპისკოპოსათ ანტონი (ალექსი გორგაძე).

➔ **რედაქტორი პასუხს გეგმაში.** პასუხის გეგმაში აღწერენ ვახუშტის რედაქტორს, ა. ა. ქალანთარს ბაქოდან კორესპონდენტის დაბეჭდვისათვის, რომელშიც მოყვანილია თფილისის სამოსა მართლო პალატის მიერ დახურულ კარგში გარჩეული საქმის საბრალდებულო ოქმი და დაწერილი მითით ანგარიში.

➔ **ქართული თეატრი.** დღეს ქართულ თეატრში ქართულ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება „პირველი ბუზი“ — კომედია ვ. მოქცის, წარმოდგენის შემდეგ გაიმართება დივერტისმენტი: იმდებრ რომანსებს, წაიკითხავენ ლექსებსა და სტენებს.

➔ **სამედიცინო წერილი.** ვუშხვარ სტულ. გეორგი დ. ღუმბაძის უღრავით გარდაცვალების გამო, სტულდენ. მირ. ჯაში.

კიდევ ბ-ნ ახალის სიხარული.

ჩვენს წერილის პირველ ნაწილში (ნ. ხ. ს. 4. № 20), რომელიც ბ-ნ ახალის სახელსახურით დაწერილია, მოკლედ აღვხატეთ ის ატმოსფერო, რომელიც ფრთა გაშალა რუსეთის ლიტერატურაში ბურჟუაზიულმა მიმართულებამ—დეკადანსმა. ასეთივე ატმოსფერო ვახუშტის რედაქტორის ბურჟუაზიული ინტელიგენცია გავიყვანით. ასე რომ, როგორც რუსეთის, ისე ჩვენს ბურჟუაზიული ინტელიგენციის სულს კვებავს რევოლუციის ქარბუთის შემდეგ ერთი და იგივე გამოცემა: იქაც პარლემენტში, აქაც; იქაც უზო-უკლობა, აქაც. ერთგვარი მიზნები ყველგან ერთგვარ შედეგს იძლევა. რუსეთში დეკადანსმა ფრთა გაშალა, ბურჟ. ინტელიგენციამ „კომუნალი დედამიწა“ უარყო და მზეს მიმართა, — „Люди солнце позабыли, надо к солнцу их вернуть“, დაამტკიცა მან თვის ქნარზე. ჩვენშიც ასე უნდა მომხდარიყო და კიდევ მოხდა, ფუძემდებელი სუსტით და მკრთალთა, რამდენათაც ბურჟ. ინტელიგენციას ჩვენში გავლენა ჰქონდა. უდავლო ნაწილი ჩვენი ერისა, მშრომელი ხალხი, ისევე საღ დემოკრატიზმის თვალთახედვის წერტილზე დარჩა. მან მარტო მიიღო ფეხი ნინოშვილ-ქოქჩაძე-კლდიაშვილების ლიტერატურულ მიმართულებაზე და თან წარმოუშვა მთელი რიგი ახალგაზრდა პოეტებისა, რომელთა პირით თავის სულის კვებებას და მისწრაფებას საქვეყნო ადარებს. ბურჟ. ინტელიგენცია კი აბაშიძის პირით ტაშის ცემით მიესალმა ჯერ შანშიაშვილს და შემდეგ გრიშაშვილს, რისთვის? იმისთვის, რომ ამათმა პოეტიკა დაუშვა მას, ინტელიგენციას, „მოღლილი სული“, ამ პოეტიკა დაავიწყა მას მწარე აწევა და ნაცლათ იმისა, რომ ამ შავ-ბნელ მდგომარეობასთან საბრძოლველათ მოეხმო, თვალდაუნებელი აიტაცა „ოცნების მხარეში“ და იქ საუკუნო განსახიერებლათ სულთათნა უგალობა სილაშხის სამხეკრბლოს წი-

ერთად ქედს ვხრდით შრომის უღელ ქვეშ, პინსა მწუხარეს ვმღეროდით ერთად; ორივეს გვწამდა სხვა მომავალი... იმას ვრაცხავდით მხსენლად,—ჩვენს ღმერთად. ვაზაფხულოდ პირს ნელსა ნიაგსა, მთა-ველად მქროლავს, მივსდევდით თანა: — ია გვინდოდა იქ მოგვეკრიფა და ქარხანაში ჩამოგვეტანა!.. მაგრამ შენ მოსწყვიდი, შრომამ მოგკვეთა. მეკრძმა მაწარლმა ამოვიგინა! საღ დავსვენოთ შენი ცხედარი? — არა გაქვს კერა, არა გაქვს ბინა,

ბაბილინა.

ნუ, ნუ მეძახი ოცნებაც ცისკენ, მე ვერ დავტოვებ დაბლა ქვეყანას!.. აქ მინდა ყოფნა, მომეთა შორის, მინდა ვისმინდე მშობლიურ ნანას... ხან აღმტაცებულს, ნეტარების მგვრელს, ხან დამღონებულს, სევდიან მკენსარეს, ხან შენზე უტყბეს, ედემის წყაროვ, ხან ვით სამსალა ჰანგას მწუხარეს... მინდა ვიწოდე მეც ნეტარებით, როცა მშობელი ტყბილათ დამღერის... მინდა ჩემი ხმაც კენს ქვიინებდეს, როს მომმეთ ქნარი ტირილით ეღერის... ნუ, ნუ მეძახი ოცნებაც ცისკენ!.. ჩემი სისხლ-ბორცი მიწის შვილია... ერთგულ შვილისთვის ტანჯვაც, წვალებაც ღვიძლ დედის მკერდზე მუდამ ტკბილია...
გ. მალაქიაშვილი.

და შექპირის იმოწმებო. ჩვენ მწერლის, თუ პოეტის დაფასების დროს რეალისტურ ნიადაგზე ვდგვივართ: ვითვალისწინებთ, თუ რამდენათ ეხება ავტორი სოციალურ მოვლენებს, არკვევს ცხოვრების საქირ-ბოროტო კითხვებს და გვამცნევს ადამიანის ბუნებას საზოგადოათ. ერთი სიტყვით, ჩვენი აზროვნების დედა ღმერთია: ხელოვნება ცხოვრებისათვის. თქვენი სული და გული ცისკენ მიიწევს, რეალურ ცხოვრებას შორდება და თუ ხანდახან მიწასაც მოხედავთ, ეს უბრალო „ენდორაზუმენია“ შემთხვევითია და სხვა არაფერი.

დასასრულ ამოცანას გვაძლევთ: იასამანის ლექსი სჯობს, თუ გრიშაშვილისა, რომლის დამცველობაც გმონი თქვენ მალე იკისროთ, რაც ლოლიკურ რაო აუცილებელია. ასეთი ჩხირკედლობა, ბ. ახალი, თქვენთვის დაგვილოცნია, აკი დაიწყეთ კიდევ და განაგრძეთ ასე სანამ არ მოძველდეთ. **მამოზა.**

წერილი გურიდან.

(ახალშენ-ღებურების კონფლიქტის შესახებ) გურიის გლეხკაცობა რომ მძიმე ტანჯვა ღებებს განიცდის უმიწობის გამო და წინათაც განიცდიდა, ამას აშკარად მოწმობს და მკერ-მეტყველურად ქადაგებს ის აგარაული მოძრაობა, რომელიც დაიწყო 1902 წელს და ვითარდებოდა რეაქციის დაწვევამდე, საუკეთესო სახანავსათესი ადგილები მემამულეების ხელში იყო და ეს უკანასკნელი კი ყოველ დღის ძიებას ხმარობდენ რაც შეიძლება მეტი ღალა აეღოთ, ისედაც გაძვალტყვებულ, უმიწობის გამო უკიდურეს მდგომარეობაში მისული გლეხკაცობისაგან. აგარაულმა მოძრაობამ კერძო და განმთავისუფლებელმა მოძრაობამ საერთოდ—გურიის გლეხკაცობა რამდენიმეტი გამოიყვანა ამ უკიდურესი გაჭირვებიდან. დამშულა-წოკებული გურიის ხალხი დეტაჟა მემამულეებს და მოძრაობამაც გაიმარჯვა, მემამულეებმა უკან დაიხიეს. გლეხებმა ისარგებლეს მათი (მემამულეების) უკან დახევით და შედეგათ მოყვა ის, რომ მთელი მიწები ფაქტურად გლეხების ხელში გადავიდა და ღალის მიცემა იმ „პროგრამაზე“ ხდებოდა, რასაც თვითონ გლეხები თუ მისი წარმომადგენლები იმუშავებდენ. ბოლოს ეს მოძრაობა იქამდის მივიდა, რომ ბრძოლის ველზე მხოლოდ ერთი მხარე იდგა—ეს მხარე იყო გურიის ხალხი. აი ასეთ საფეხურზე როდესაც აღწევს განმთავისუფლებელი მოძრაობა, ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ისეთი რადიკალური ფსიხოლოგია გურიის გლეხკაცობისა, რომელიც აღიარებს, რომ „მიწა ჩვენია“. ყველა პროგრესული თუ რევოლუციონერული პარტიები ეუბნებოდენ ხალხს, რომ ღებმა ისეთი მნიშვნელოვანი გლეხების ცხოვრებაში, როდესაც თვითონ გლეხებმა უნდა განაგოს თავიანთი საქმე, უნდა ჩამოართვან მემამულეებს მიწები. გურიის გლეხკაცობა, დარწმუნებული იმაში, რომ „მიწა მისია“, იდგა დინჯად, როგორც ეს შეჭერის გამარჯვებულს და უცდიდა იმას, თუ მისი მოწინავე პირები როგორ გეგმავს გამოიმუშავებდენ მიწის სარგებლობისს. და რომ მიწა მას ეკუთვნოდა, ამაში ეჭვიც არ შეჰქონდა მას.

მაგრამ დაბეთ უბედურებას! ცხოვრების ჩარბი გადმოტრიალდა და ის, ვინც გამარჯვებულათ თვლიდა თავის თავს დამარცხდა. განმთავისუფლებელმა ტალღებმა შესწყვიტეს თავისი მსვლელობა. ხალხის აფროთოვანება დაბლა ეწევა, იმედები გურიის გლეხკაცობის თანდათან დაბნედა. ასე რომ, თუ გურიელი გლეხი დარწმუნებული იყო წინეთ, რომ მიწა მას ექნება შემდეგში, რადგან მოწინააღმდეგე მორჩილებაში ჰყავდა, რეაქციის შემდეგ ეს შეხედულება იცვლება და უსასყიდლოთ მიწების „ჩამორთმევის“ იმედი ქრება მათი გონებიდან. აი უნებლიეთ ენადება მას კითხვა: რა ქნას? იყოს თუ არა შემდეგშიც მემამულეების ხელში და აძლიონ დიდი ღალა? და გურიის გლეხი ლოლიკურათ იმ დასკვნამდე მიდის, რომ ერთადერთი გამოსავალია გზა ასეთ პირობებში არის—მიწების შესყიდვა მემამულეებისაგან. მემამულეების დიდმა უმეტესობამ დაჰკარგა თავისი მამული სათავად აზნაურო ბანკების შემწეობით. მაშასადამე, გურიის გლეხკაცობას მიწები უნდა გამოესყიდა ბანკებთან.

ამ მიზნით აღმოსავლეთ გურიის გლეხკაცობის ერთი ჯგუფი, შემდგომი 100 კომლისაგან ცდილობს აიღოს სადემოკრატიული, დასახლდეს კიდევ ამ მიწაზე და მოაწყოს ახალშენი. ეს ჯგუფი, განიხილა მიწა, რომელიც მდებარეობს მდ. ჩოლოქის ნაპირებზე და რომელიც დღეს ბანკის საკუთრებას შეადგენს. ის მოუროგდა ბანკს და ის იყო უნდა გაეკეთებოდა საქმე, რომ საქმეში ჩაერეოთ ლეხობურ-მაკევეთის გლეხები. შედეგათ ამ ჩადევს ის მოყვა, რომ ბანკმა 2000 მანეთით ასწია ფასი და უნდა გაჩაღებულყო საჯარო ვაჭრობა, რაც, ცხადია სასურველათ არ გათავდებოდა არც ერთი მხარისთვის ეს მოსალოდნელი საფრთხე გაითვალისწინეს ორივე მხარის ინიციატორებმა და მამული გამოიტანეს თავიანთ სახელზე და მით ბოლო მოუღეს კონკურენციას მამული გამოტანილი ვარლამ კალანდაძის, სამსონ ჰაიქაძის, ექვთიმე თაქაიშვილის, ერმილე ნაკაშიძის და ერასტო გორდელაძის სახელზე. პირველი საპირწმუნებულები არიან ჯგუფის, ორი უკანასკნელი კი ლეხობურ-მაკევეთელების. მიწა მართალია, გამოტანილია ამ რწმუნებულების სახელზე, მაშასადამე მარცხ არსებობს ამ ორ მეზობელთა შორის. ლეხობურ-მაკევეთე და ჯგუფს შორის იყო მოლაპარაკება 9 მარტს ს. ხილისთავში, მარა ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივიდნენ. ლეხობურ-მაკევეთის წარმომადგენლები ამბობდენ: ჩვენთვის ჩოლოქის მამული აუცილებელია, უმისოთ ცხოვრება ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან იმ მამულით სარგებლობენ ყოველად ღარიბებიო. ამიტომაც არის, რომ იმ მამულის საყენე ადგილებს „გლახის მერე“ დაერქვა სახელათ, რადგან იქ ყანობენ მხოლოდ უმიწობით „დაგლახებულებიო“. ჯგუფის წარმომადგენლები უკანასკნელნი: ჩვენ თქვენზე უფრო გაჭირვებულები ვართ და ვერ დავთმობთო. რადგანაც ორივე მხარე ერთნაირათ მოთქვამდა თავიანთი გაჭირვებაზე, ამიტომ მათი შეთანხმება არ მოხერხდა. ბოლოს ლეხობურ-მაკევეთის წარმომადგენლებმა წინადადება მისცეს ჯგუფს, რომ გამოგვეყო სამედიცინო სამართალშიო. ჯგუფის წარმომადგენელი უკანასკნელები: ჩვენ სამედიცინო სამართალში გამოგვეყოებით, მხოლოდ ჯერ ადგილი ჩავიბაროთო. ადგილის ჩაბარება და გაყოფა ლეხობურ-მაკევეთელების წარმომადგენლებს შეუძლებელი მიჩნიათ მანამდე, სანამ სამედიცინო სამართალში არ აკეთნებენ ან ერთს, ან მეორე მხარეს. ჯგუფს კი სურვილი აქვს ეთლავე ჩავიდეს მამულში, გამოიყოს თავისი სამი მეზობელი და ისარგებლოს. პირველი კი ასეთ კომპინაციას შეუძლებლათ სცნობენ სამედიცინო სამართალს გადაწყვეტილებამდე. ასე რომ მოლაპარაკებამ ვერც ერთი მხარე ვერ დააკმაყოფილა და კონფლიქტი თანდათან მწვავედებდა და მოსალოდნელია, რომ თუ ისინი ვერ შეთანხმდენ აპრილის 25-მდე მამული იხვე ბანკს დარჩეს, ამიტომ საქირბო, აუცილებლათ საქირბოა, რომ მორიგებით გათავონ საქმე. თუ მორიგება არ მოხერხდა მათი, საქირბო მესამე პირის საქმეში ჩარევა. ეს მესამე პირი კი იქნება სამედიცინო სამართალთ. მედიცინორების უნდა მიენდოს ის კითხვა: ჩავიდენ მამულში მსჯავრის გამოტანამდე თუ არა? და თუ ჩავიდენ—რა პირობებში, რომ კონფლიქტს ბოლო მოეღოს. მედიცინორების უფლებაში უნდა იყოს, რომ მამული ან ერთ მხარეს დაარჩინონ, ან მეორეს, ან ორივეს თანასწორათ თუ არა-თანასწორათ უფლებებშიათ. სამედიცინო სამართალთ საქირბო შესდგეს და უწყებებლათ, რადგან დრო მიდის. და რამდენათ დრო მიდის, იმდენათ მწვავედება დამოკიდებულება ამ ორ მეზობელ შორის და ვინ იცის, რა შედეგს მიიღებს. ყოველ შემთხვევაში საქირბო ისეთი გზა, რაც არ გააოცინებს იმათ, ვისი გაცინებაც ყოველთვის აგებულია ხალხის ტირილზე და უბედურებაზე.

გათუვის აშკარები
საურთიერთო ნდობის საზოგადოების მორიგი კრება.

კვირას, 14 მარტს, ადგილობრივ ქალაქის გამგეობის დარბაზში შესდგა საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა კრება. კრებაზე გამოცხადდა წევრთა კანონიერი რიცხვი—79 კაცი (არა შესამედი წესდებით).

